2) *Ibid. t. XI p. 115 n. 2 116.*

3) *Hist. du Bas—Emp. t. IV, p. 61—65.*

4) *Ibid. t. XI p. 116.*

5) *Ibid. p. 115 n. 2.*

დისტინის საზღვრიდამ მოყოლებული კავკასიის ჩრდილოდ ვიდრე შავ-ზღვამდე და თავრო-ხერსონამდე, რომელიც ასლა ყირიმს შეადგენს. იმათი შთავარი იწოდებოდა სასანად. საზარნი იყვნენ დაყოფილნი მრავალ მუხლებად 1). ძველს ეპოქებში ისინი შეადგენდნენ აჭურძილეს ტომს. როგორათაც ჩვენ ამას თავისს ადგილს ჟურჯენებთ. ისინი მომატებულად გაძლიერდნენ შემდეგ. სენ-მარტენი ამბობს, საზარები და მადიარები ანუ კერტები ერთს და იმავე ტომს შეადგენდნენ. არაბის გეოგრაფი იბან-ჭაუკალი, რომელიც მე X სუგ. ქრისტეს შემდეგ ცხოვრობდა, თავისის მხრით იტყვის, ვითამც საზარნი და ბულგარნი, ფინურნი ტომი, ერთს და იმავე ენას სმარობდნენ 2).

საზარებმა დასტოვეს თავიანთი კვალი კავკასიაში. სენ-მარტენის თქმით დადისტინის ავარები, იმათის მონათესავე დიდოს ტომით, არიან საზარნი ანუ ჭუნსები. აი იმის, საიტყვა: «სოგი-ერთნი მწკარაღნი, რომელთაც ავართ. ისტორია გამოუკვლევიათ, იმათ შორის დეგინი, ლეკებთ რიცხვში გაძლიერებულ ტომად ავარებს მოისხენებენ. კლავროტს შეუნიშნავს კავკასიის ავარებში მრავალი სასელ-წოდება, რომელიც დუნაის ჭუნსებში და შანხონდის ავარებში სშირად სმარებული ყოფილა. კავკასიის ავარნი განსხვავებულნი არიან ლეკებში. ისინი შეადგენენ 14,000 კომლს, ანუ 30,000 სულს. ისინი სმარობენ ენას, რომელიც ლეკურს არ შეემსგავსება. ისინი ცხოვრობენ ხეობებში და ამ ხეობებს ჭსას-ღვრავენ—ჩრდილოეთით კავკასია, დასავლეთით ჩენსები და აღმოსავლეთით შამსაღის ტარგოვი. სომხები და ქართველები ავარიან უწოდებენ ხუნსასად. ადგილობრივ იმას ჭქვიან ჭუნსის მიწა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ტომი მომდინარეობს იმ ვიღაროტის ჭუნსებისგან, რომელთაც ზროკობი და მოსე ქორენელი მოისხენებენ კავკასიის

1) *Hist. du B-Emp. t. XI, p. 116—117.*

2) *Ibid p. 115 n. 2.*

დასავლეთად ანუ კასპიის ზღვის მასლობლად. ესეც უნდა გავსოვდეს, რომ ის ნაწილი გენგრიისა, რომელიც ოდესმე თურქის-ტომს კომანებს სჭერიათ, სასურ-წოდებულა აგრეთვე კუნსაგად 1). სენ — მირტენივე ამტკიცებს, ვითომც ერეკლე იმპერატორის დროს მე VI საუკუნე დადისტანი ჭუნსებს სჭეროეთ 2). აქ უნდა დაურთოთ ჭოსონის თქმულება. ჭოსონის შემოაქვს თავის თსულებსაში გავასიაზე რეინგისგან შენიშნული ლეგების გარდამოცემა, ვითომც იმათნი უძველესნი წინა-პირნი მოხუციყენს ინდოეთიდან და კერ შირვანში დასასლებულიყენს, მასუგან ჩრდილო-გავასიის მხარეებში, ვითომც შემდეგ ისინი სასარებს შეეჭვიტოთ მათში და თვითონ დაეჭირთ ნაწილი იმათის ადგილებსა 3). — სასართ შთამამავლობადუ ქსადან ჩერქეზებს. ლეო ამას დარწმუნებით ამბობს. იმისი სიტყვით სასარნი ყოფილან დაყოფილნი რამდენსამე შტოებად. იმათში ერთი შტო ყაბარდად თურქმე იწოდებდა. ლეო ამ აზრს აფუძნებს კოსტანტინე პორფიროგენის სიტყვასე. პორფიროგენი გვიამბობს, რომ სასართ — ყაბარდოელებმა თავისი სახელი გადასცეს იმ მხარეს, რომელიც ჩერქეზეთის აღმოსავლეთად მდებარებს. სენ — მარტენი ლეოს აზრს ანც უარ-ჭყობს, ანც ითვისებს; ის მხოლოდ ვერ იჯერებს, რომ ვისანტიელების ყაბარდას ჭქონდეს დამოკიდებულება რამე ჩერქეზეთის ყაბარდოსთან, რადგანაც ჩერქეზის ტომი ფინსებთ მონათესავე ტომი არ არის 4).

1) *Hist. du Bas-Emp.*, t. VI, p. 460 n. 2. IX p. 404 n. I. *Зан. Каох. Онд. Рус. Георг. Общ. уч.* VII, *Смачо, сmp.* 28. ამ წიგნში კრიტიკის და ბიბლიოგრაფიის ავტორი (გვერ. 51-52) უარ-ჭყოფს ავარელების ფინურს შთამომავლობას და ამასთანავე ამტკიცებს, იმათის ენის მოწმობით, რომ ისინი ძველად ნომადები იყვნენ და დიდ დიდის-ხნის მოხუცი არიან ჩრდილოეთით.

2) *Ibid*: t. XI, p. 104 n. 1.

3) *D'Ohsson, des peuples du Caucase. Paris; 1828*, p. 5.

4) *Hist. du Bas-Emp.* t. XI, 117 n. 1 et 2.

ასეა ჩვენ შეგვიძლიან ქართლის-ცხოვრების თქმულებას საზარებ-
 ყვე ძალა მივცეთ. ის აზრი, ზოგიერთთაგან მიღებული, ვითომც
 საზარნი გამოაღწენ ქრისტეს შემდეგ და ვითომც იმ დროს,
 რომელსაც უჩვენებთ, საზარნი ვი არა, არამედ სვეთნი ყოფი-
 ილან ისტორიული მოქმედი ტომი, უსაფუძვლო აზრია. ან ვინ
 იყენენ სვეთნი? მართლდა მოძატებული ნაწილი სვეთებისა ინ-
 დო-ევროპიელნი არიან, ესე იგი გეთნი ან ელთნი, მაგრამ ისიც
 უნდა გვასსოვდეს, რომ სვეთებადვე ირიცხებიან ზოგიერთნი ნო-
 მადნი ტომნი, რომელნიც მოძარაბდნენ იმ სიფრცესე, სადაც სსვა
 და სსვა დროს თუჩანებებს და არილებს კვათულობთ და რომელნიც
 სსვა და სსვა მოდგმას ეკუთვნან. ზოგნი მწკრელნი სვეთებად სა-
 სელ-სდებენ თვით საზარებს. პოტოცგი ამტკიცებს, რომ კა-
 ტიარის ტომი, რომელთაც ჭეროდოტე სვეთებად უჩვენებს იქ, სადაც
 ქართლის-ცხოვრება ასასლებს საზარებს, ყოფილან საზარნი; კატარე-
 ბის მესობლებად იგივე ჭეროდოტე უჩვენებს იმავე მოდგმის ტომს
 ბასალიანებს, ბერძნულად სამეფო-სვეთებს. მოსე ქორენელი სამატიაში
 პოულობს საზარებს და ბარსელიებს; ერთის ვიზანტიურის სრა-
 ნიგის თქმით საზართ-ნომადნი არიან გამოსულნი ბერძელიადამ. თვით
 ვივანე სენ-მასტინი საქართველოში უჩვენებს უძველესის დროდამ და-
 სასლებულს ურალ-ფინურს კოლონიას, რომელსაც ის უწოდებს სა-
 ბირებად, ფინო-საბირებად 1). ერთის სიტყვით, ქართლის-ცხო-
 ვრების თქმულება საზარებზე, ჩვენი ფიქრით, ეჭვ-გარეთ უნდა იყოს.

ქართლის-ცხოვრებას საზარებზე შემდეგი ცნობებიც შემოაქვს. ბევ-
 რით ადრე ამ დროზე. რომელსაც ის აღწერს, ის უჩვენებს ეგრისის სასლ-
 ვრად მცირე-საზარის მდინარეს, ესეიგი ასლანდელს ყუბანს. ამ წარის თა-
 ხსნა თვით ჭეროდოტე, რომელიც რიტტერს მოაქვას 2) იის ლომეკს,

1) *Rech.* 62, 63, 146 - 149.

2) *Hist. de la Geor.* I, p. 18., საქართველო დ. ბაქრძისა
 შირვ. რვეული. გვ. 46.

შემდეგ თერგს და ვოლგას შუა მდებარე სივრცეს სასელს-სდებს დიდ-სასარკეთაღ 1). სასარნი, ქართლის-ცხოვრებას თქმით, თვით საქართველოშიც ყოფილან დასასლუბელნი და იმათი ესა ქართველებს სცოდნიათ 2). ქართლის-ცხოვრება სასარო მოდგმას დასასლებს ლეკანის სამფლობელოში, სასელდობ ლეკანის აღმოსავლეთს მსარეში 3). აქ ჩვენ უნდა დაუთოთ, რომ შეათე საუგ. არაბული გეოგრაფი მასხუდი ჩერქეზებს უწოდს საზრებად, საზრანებად 4). დუბუას სიტყვით ჩერქეზის ტომი იყოფა: ოთს შტოდ: ადიგე, უბარდო, აბაზა და აფსაზი. იმათ ენებში შეინიშნება: სასოგადო ფესვი და ფორმები, რომელნიც აღმოაჩენენ ფინურის ენის სასტემის მსგავსებას, სასელდობრ ოგულურისას და ოსტიაკირისას, რომელნიც ტომებში არიან გავრცელებულნი. თვით ჩერქეზების ყოფა-ცხოვრების წესი ძველს აფინებს მოგვაგონებს 5). ჩვენ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რაც «საქართველოში» კავკასიელთ ენებზე ვთქვით: აქ თურანის მოდგმის სიტყვები მომატებულ ლეკურს და ჩერქეზულს ენებში კმა-რეთ 6). ამასი ეჭვი არ შეიძლება; მაგრამ მართალია თუ არა დუბუას აზრი, კითხვაც გრძობატიკული ფორმები ჩერქეზულისა და ლეკურისა ფინურს ენას ეკუთნოდეს, ამასე ასლა ვერას ვიტყვიით დარწმუნებით, რადგანაც ლეკური (ავარული) და ჩერქეზული ენები ამ მხრით გამოკვლეულნი არ არიან.

ქართლის — ცხოვრების გარდამოცემა ოსების შთამომავლობაზე და ამ დროს, როდესაც ოსები კავკასიაში დასასლებულან, არეული მოსის-

1) *Hist de la Géor.* I, p. 18.

2) *Ibid.* p. 32.

3) *Ibid.* p. 26.

4) *Massoudi, Descript. du Cauc. Journ. d'une résidence en Circassie par Bell, t. I, p. IX.*

5) *Dubois, Voyage. t. I. 102, 114.*

6) საქართველო, პირ. რე. კვ. 95.

რობას. ამ დროს ქართლის ცხოვრება უჩვენებს მე XVII საუკ. ქრისტეს წინადა; ბერძნის მწერალი ჭეროდოტე კი მე VII საუკუნეში ნამდვილი დრო ოსების დასასვლებისა აქ უფრო ჭეროდოტესაგან ჩვენბული დრო უნდა იყოს. ამ დროს ისვენებინ პირველად ახეზი კავკასიის მსარეში. ამ დროსვე წმოდება ჩვენ დიდ ქედს სახელად «კავკასია», რომელიც ახებს ინდოეთიდ მოუტანიათ, როგორც ეს ჩვენ «საქართველოში» გამოვიკვლიეთ 1).

ქართლის ცხოვრების მოთხრობა საზნართ გავლასე ზღვის-კარით და იმათგან სომეხთ და ქართველთ, რანელთ და მოკავანელთ დატყვევებაზე, დუბუას სიტყვით, სრულებით ეთანხმება ჭეროდოტეს ნამდებობს სკვითების გლასქრებაზე ამ მსარეში. როდესაც სკვითნი სდევნიდნენ კიმერიელებს — ამბობს ჭეროდოტე — კიმერიელებმა მიჭმართეს შავის — ზღვის ნაპირ აფხაზეთს და კოლხიდას, ხოლო სკვითებმა, (ანუ ქართველთ საზარებმა) განვლეს კავკასია, რომელიც იმათ მარჯვნივთ მდებარებდა, გაიარეს დერბენდი და აქედამ დაესხნენ აზიას დასავლეთისას და დაიმონავეს ისა 28 წლის განმავლობაში, ესე იგი 933 წლიდამ 905 წლამდე ქრისტეს წინადა. ერთს შემთხვევას, რომელიც ამ გარემოებაზე დამოკიდებული, და რომელიც გადმოგვცნეს ბერძნებმა, ქართული ქრონიკავე ამტკიცებს. ეს შემთხვევა არის სკვითებისაგან მიდიელთ კოლონიების გადმოსასვლება კავკასიის ჩრდილო-მსარესა.)

როდესაც სკვითების ანუ საზარების მეფე პირველად დაეტა კავკასიის სამსრეთად მდებარე ქვეყნებს, და ააოხრა იგინი, მაშინ იმან შემდეგ უგუ-ქცვისა თავისს შვილს უობოსს დაუმევიდრა ქართველთ-სომეხთ ტყვენი იმ ადგილებითურთ, რომელნიც თერგის დასავლეთად მდებარებენ ვიდრე კავკასიის ვიდემდე. უობოსის შთამამავლათაგან და

1) საქართველო, პირ. რე. გვ. 65.

ამ სასლთ მოსასლეთან წარმოსდგენენ ოხნი ანუ ოსეთის მცხოვრებნი 1). ამას გვიამბობს ქართლის-ცხოვრება. ამასვე გვიამბობს დიოდორე სიცილიელი, როდესაც ის იტყვის, რომ სკიითებმა ძაღიელნი გადმოასასლესო სარმატიასი, რომელნიც კავკასიის ჩრდილო-მხარეს მდებარეებს. ამ მიდიურს კოლონიას შეადგენდნენ ნესტორის იასუბი და საშუალო-საუკუნეობის ალანები 2).

ასეუბი ანუ ალანები, რომელთაც დუბუს მოიხსენებს, ძველადვე არიან ცნობილნი. ალანები ასე ძლიერნი და გავრცელებულნი იყვნენ, რომ იმათ ეპყრათ მთელი მსარეები შავის-ზღვის და კასპიის-ზღვის შორის; ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. შტოლომეს დროს, პირველის საუკუნის განუფას ალანებს უკირათ აღმოსავლეთი აზიისა და იმათვე სასელ-სდუს ალანის მთებად იმ მთებს, რომელნიც აზიის შუახეულამდე მიემართებან და რომელნიც, როგორც ამბობენ, უდრიდნენ ასლანდელს ალანის მთებს. ალანებს ისენიებენ თვით ჩინელები. ესენი იმათ იქვე სასლგებენ, ესე იგი კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთს მსარეებში. ამათის თქმულებით, ალანნი იყვნენ ნომადნი და შემდეგ ტომნი. სახემწიფისა, რომისა და სომხეთის მწიკრალნი თანა-სმად ჰმომობენ, რომ ქრისტეს შემდეგ ოთხის საუკუნე. განმავლობაში ალანნი ყოფილან ეკელა ტომებზე უმუმდელებენნი და ცხოვრობდნენ ვრცელს ვაკე—მინდვრებში, რომელნიც მდებარეებენ კავკასიის ჩრდილოეთად, შავსა და კასპიის ზღვას შუა, აოსრებდნენ ეკელა ადგილებს ვიდრე მეოტიდის ზღვამდე და კიმერის ბოსფორამდე, გადიოდნენ კავკასიით მიდიისა და სომხე-

1) ქართლის-ცხოვრებეთ, როგორც უკომად ვნასეთ, ოხნი არიან უობისის შთამომავალნი. უობისი იყო საზარი, მას სადამე ეს ცხოვრება: ოსებს საზართ მოდგმად ჰსადის.

2) *Duhois, Voyage, t. II, p. 26 - 28.*

თის ასაკულად ჩინელნი იმათ ჭუნებად უწოდებენ. მაგრამ იმათი აკებულება ინდო-ევროპიულს შთამომავლობას მოგვაცანებს. ალანნი, იყენენ ტარგანნი, სხით კარგად მოწყობილნი, იყენით თეთრნი, სხითით ჰამენი, მკვირცხლნი და ცხენოხსნობის მოყვარენი. თუძცა ისინი ეოფა-ცხორებით ჭუნებს მიემსგავსებოდნენ, მაგრამ ისე კელურნი არ იყენენ. ალანნი მოძრაობდნენ ჯგუბ-ჯგუბად უდაბურებში და ცხორებობდნენ სის ქერქით მოფარდულს ურმებში ანუ კიბიტკებში. ალანნი შესდგებოდნენ. იქ, სადაც შირუტევისთვის სასარგებლო სამოვარს ჭმობებდნენ. ისინი ისე შემოჭკვებდნენ ურმებს, რომ იმტკვლივ ზღუდეს შეადგენდნენ. ეს იყო იმათი სიძაგრე და ქალაქი. აქ ბინადრობდნენ ვიდრე სამოვარი მოხსობოდა. მუდამ შინაჩაღებულნი ისინი იყენენ გართულნი ნადირობაში და სამსედრო დროს გატარებაში. უმთავრესი იმათი სელობა იყო ბრძოლა; მტერის სელით სიკვდილი თვითთუ ულს იმათგანს სასიქადულო საქმედ მიანდა. ალანები მსდალ ჯაცს შეურაცხებით უმზერდნენ; სიკვდილი მოსურველობით და სსულობით იმათ სამწუხაროდ მიანდათ. ალანი თავისის სელით მოკლულს თვითონვე ატყავებდა და ტყავს ორთუქად სმარებდა. ალანნი თავყანს სცემდნენ მარსს, რომლის წარმომადგენელადაც ჭქინდათ მიწაში ჩარტმული სმადი. ალანნი ვეკლანი კეთილ-მოზილებად ირიცხებოდნენ. იმათში მონაობა არ იყო. ისინი მონებად იმსახურებდნენ ომში ტყვედ დატყვნილს და იმისს შთამომავალს. ალანების უფროსნი სასეღ-იწოდებოდნენ მსაჯულებად. მსაჯულის ღირსება ეკუთნოდა იმას, ვინც უაღმატებულესად განვითარებულა იყო მეომრობაში.

შემდეგ ჭუნების დასახლებიას ბასკიროს მსარქში იმათ დაქსნენ ახალნი ტომნი, რომელნიც დასავლეთის თათარნიდამ იძროდნენ. თვით ჭუნები შეირყენ და ალანებს მიაწყენ. ეს იყო I საუფ. ქრისტეს წინ. ალანები იძლიენ და ზოგნი მეოტის ზღვისკენ და დუნაის მდინარისკენ მიიღტენენ, ზოგნი კავკასიის შინად შემოკვტუ-

ბდენს და თვით ჩრდილო კავკასიის სეპეებში შეფარდნენ. ამ დრო-
დამ აქ დიდ სეპებს უცხო-ტომთ უწოდეს ალანეთის კარად, ქართვე-
ლებმა დარი-ალად, დარი-ალანად. იმათ ჭეკანდათ საკუთარი მთავრები.
მეცამეტე საუკ. მონგოლებმა ბატუ-ხანის დროს და მასუგან ყაზარდო-
ელებმა ისინი ვაკე-მინდვრებიდამ განდევნეს და სრულებით შეჭვიდიტეს
კავკასიის მთებში, სადაც აქამოდე ცხოვრობენ. ამ დროს უნდა იუგ-
ნენ ისინი გადმოსასლებული საქართველოს მსრვი მდებარე მთის
სეპებში. ამ ალანთ ადგილ-სადგომს ჩვენ, ქართველები, ვუწოდო-
ბსკუთად, თვით იმათ რსებად. ისინი არიან ძველის აღმოსავლეთის
მწერლების აზნი, ჰტოლომეს და სტრახონის აზიანები, ჩინელთ,
ა-ზიები ანუ უზი-უნები. თვით რსების საკუთარი სასელ-წოდება გვი-
ტიციებს ამ იუგტს. ისინი უწოდებენ თავიანთ თავს ირანებად, თავიანთ-
ადგილ-სადგომს ირანისტანად. ირანი იუოძველი სასელ-წოდება მიდიისა
და მიდიის მცხოვრებლებისა 1). — რსების უოფა-ცხოვრების განსილვასი და
იმათას კნის გამოკვლევაში ამ სასელ-დროს მსსულან რამდენიმე ეკროპიელნი
გამოჩენილნი მწერალნი: ზოტოცივი, კლავროტი, დუბუა დე მონპერე,
შეგრენი, რსურის გრამმატიკის შემადგენელი, როზენი დე ჭეკსტა-
უსენი. ისინი ცხადად ჭმოწმობენ რსების ნათესაურს დამო-
კიდებულებას მიდიელებთან, სზარსებთან და ნემცებთან 2). იმა-
თის გამოკვლევით, რსები სასის-მოყვანილობით, სასიათით და ჩეკ-
ულობით ასლაც წარმოგვიდგენენ დიდს მსგავსებას ალანებთან და თვით
ზოვი-ერთს აწინდელს გერმანიულ ტომებთან. რსური ენა, ფილოლო-
გის შიერნის ხიტევიო, ეკუთვნის ინდო-გერმანიულს ნათესაობას, თუ-

1) *Hist. du Bas-Emp.* IV, p. 77 - 85. *Dubois* II p. 28.
Rech. 150, 189, 191.

2) *Rech* 150 n. I.

მცა უფრო სპარსულსა დასსლოებული 1). დგომს ალექსანდრე გუმბოლტის მიწერის 24 სექტ. 1839 წიგნში ამტკიცებს, რომ ოსური ენა არის მიღო-სპარსულის ენის შტო და ევროპიელს ენებში უფრო ასლოა ლათინურთან, ლითონურთან, ლიკურთან და გურულთან. ამ ტომთ შუა-მდგომელობით შაერთებულნი არიან ერთი მოსოქსთან გერმანიული და სლავიანური ენები 2). ჭეხტაუზენის შენიშებით, დაწინარებული ოსის საუბარი, რომელიც სხვა კავკასიელთ მოსაუბრობას ვრ მიემსგავსებ, თვით სიტყვის წარმოთქმის ტონი და სმა მოგვარებენ ნემეტურს ენას, სასკლდობრ ჩრდილო-ნემეტურს, ასე რომ ცოტა მოსოქსთან თქვენ ფიქრობთ, რომ ქვემო-საქსონურის გლეხის ღაპარაკი მოგვსმით და მოლოდ სიშორის უამო არ გესმით სიტყვები 3). ჭეხტაუზენი ფიქრობს, რომ ოსები უნდა მომდინარეობდნენ იმ გოთებთან და გერმანიელთან, რომელნიც შემდეგ დაძლევისა ჭუნებთან კავკასიის შიგნში შესინულანო 4).

ზოაკებს თუ არა ქართლის ცხოვრებას თავისს თქმულებას საზარებზე და ღსებზე, ის შემდეგ კვიამობს ქართველების დამოკიდებულებას სპარსეთთან შქველეს დროებში. ეს ადგილი ქართლის-ცხოვრებისა დიად შესანიშნავია, შესანიშნავია ისტორიულის სინამდვილითა და არა, არამედ განსაკუთრებითის თვისებით. როდესაც თქვენ ამ ადგილს კითხულობთ, თქვენ ცხადად გძნობთ, რა გავლენა ჭქონის ქართლის-ცხოვრებაზე სპარსეთის ძველს მწერლებს, ან რა გვარად გავრცელებულა ჩქ სხვა და სხვა სპარსული ზეპირ-სიტყვიერი გარდამოცემის, სხვა და სხვა ამაო-წმუნება, ჩვეულება და ყოფა-ცხოვრება, რო-

1) *Барона Гекстлаузена Закавказский край. СПб. 1857 г. т. II, стр. 113.*

2) *Тамъ же, стр. 124.*

3) *Тамъ же, стр. 115.*

4) *Тамъ же, стр. 117.*

მელიც ჩვენს ტომს სამუდამოდ შეუთვისებია. საჭიროდ ვხადით შეკ-
დგეთ აქ. ქართლის-ცხოვრება იწყობს თავისს თქმულებას სპარსეთის გა-
ლენაზე აფრიდონ-გმირის ისტორიით...» მიერიდგან განძლიერდეს — გა-
ძლიერდეს სიტყვა სიტყვით — სპარსნი, შინა ადმოსავლითგან, ნათესავნი
ნებროთისნი და გამოუჩნდა ნათესავთა შორის ნებროთისთა კაცი
ერთი გმირი, აფრიდონ, რომელმან შეკრაო ჟაჭვითა ბეკრასთ, გვი-
ლთა უფალიო და დაბა მთასა ზედა, რომელ არს კაცთ შეუკალიო».
ესე ვითარი წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა. აფრიდონ ეუფლა
ყოველსა ქვეყანასა სპარსთასა, ხოლო რომელთამე ქვეყანათა შეკრანსა
ერისთავნი, ხელადნი მისნი და რომელთამე ქვეყანა მოსარკვე ჰყო. ამან
წარმოგზავნა ერისთავი თვისი, სპითა დიდითა, რომელსა ერქვა არ-
დამ, შვილი ნებროთის ნათესავთა. მოვიდა ქართლად და შემუსრა ყო-
ველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი და მოხრნა ყოველნი რაოდენნი
საზარნი ჰოვნისა ქართლსა შინა. ამან არდამ ერისთავმან აღაშენა ქა-
ლაქი ზღვის-კარს და უწოდა სახელი დარუბანდი, რომელი ითარგმ-
ნებოს «დასმა კარი», და მანვე მოხლუდა მცხეთა ქალაქი ქვით-კირით.
და აქამოდე არა იყო ქართლსა შინა საქმე ქვით-კირისა. ამის გამო-
დაისწავლეს ქვით-კირი: ამანვე არდამ მოჭვიდა კირით ზღუდე ციხესა
არმაზისასა და აქათ მტკვრამდის და წარმოხლუდა ცხიერი არმაზისი;
ვიდრე მტკვრამდე. და ერისთავობდა აგადონ მრავალთა წელთა. ხო-
ლო რადეს განუყო აფრიდონ ყოველი ქვეყანა სამთა ძეთა მისთა, მა-
შინ რომელსადაც ძესა მისცა სახლად სპარსეთი, მასვე სუდა წილად
ქართლი, რომელსა სახლად ერქვა იარედ. ხოლო შემდგომად არდამ
ერისთავისა გარდაიცვალეს დერისთავნი, მიერიდგან უცალო იქნეს ძე-
ნი აფრიდონისნი, რადეთუ იწვეს ბრძოლად ურთიერთარს და მოკლეს
ერთა მათა იარედ მმა მათი. მამინ ჰოვეს ყაძი მარჯვე ქართლონიან-
თა... ბერძენთასა 1). ხოლო ერის წყლის ქვემოთ დარჩათ ბერ-

1) აქ ქართლის-ცხოვრების ბეკრს დედნებში რამდენიმე ფრაზა
აკლია. მხოლოდ ეს ფრაზები იპოვება იმ დედანში, რომელიც კეუ-

ქნათა. რამეთუ შევიდრთა მის ადგილისათა ესრესსეს ოგსთა, გარდა
 მოიყვანეს ოსნი და ჳმკეს ერის-თავი სჳარსთა ველსა გარე და კნი-
 სობად და მოკლეს იგი და რომელ ჳმკეს სჳარსი, ყოველი მოსწუვი-
 დეს ოგსთა და ქართველთა და განათავისუფლეს ქართველნი. ხოლო
 რანი და ჳკრეთი დარჩნ სჳარსთა. და შემდგომად ამისსა მრავალთა
 წელიწადთა, კვლად განძლიერდეს სჳარსნი და 'ჯანიდინს ძე სჳარსთა,
 რომელსა ურქვა ჳკვაზოს. იყო კაცი გინმე მას უამსა ლეკეთს, შგრძ-
 ნობელი, ნათესავი ჴანიხიზსი და მან გრძიებითა თვისითა დასბრძო
 ჳკვაზოს მეფე და სჳა მისი, და ვურ შევიდა ლეკეთს: უკმოიქცა და
 მძინდა განუხატლდათ თვალები. ამან ჳკვაზოს მეფემ კვლად მოსარგ-
 ნე ჳკენს ქართველნი და წარვიდა.

და შემდგომად ამისა რაოდენთამე წელიწადთა, უცალო იქ-
 მნა ჳკვაზოს მეფე სჳარსთა, რამეთუ იყო ბრძოლას თურქთა. ზო-
 ვეს უამი მარჯვე სომქესთა და ქართველთა და განუდგეს სჳარ-
 სთა და განამარგეს ციხენი და ქალაქნი მათნი, და შეი
 ერთნეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსთანნი. შემდგომად ამისსა რაო-
 დენმე წელიწადთა გამოგზავნა ჳკვაზოს, სჳარსთა მეფემან, ძე მისი,
 რომელსა ურქვა ფარშორატ, სპითა დიდითა, სომქესთა და ქართველ-
 თა და ყოველთა თარგამოსიანთა სედა. ხოლო შეკრბეს ესე ყო-
 ვენლი თარგამოსიანნი, მიეკებეს და ეწყენეს არდახადაგანს, სელეს და
 იოატეს ფარშორატ, და მოსპეს სჳა მისი. შემდგომად ამისსა მცო-
 რედთა წელიწადთა კვლად მოგზავნა ამანვე ჳკვაზოს ძის-წული მახი,
 ძე შიომბეღლიურისა, რომელი მოიკლას თურქეთს, ვითარცა წერილ-

თისი რუმიანტოვის მუზეუმს. აი რა სწერია აქ: და შეეწიეს ბერძენთა
 ცა და მოკლეს ერისთავი სჳარსთა და ყოველი მხედრობა მათი გარ-
 დაწვიტეს, და განათავისუფლდა სჳარსთაგან საქართველო, და აქვ-
 დათ მძართველად მამასხლისნი თვისნი. და იყოფოდეს შეერთებით
 ყოველსა განსრავსას და საქმეს შინა. ამან შიხა განუდეს რაოდენთამე
 უამთა და გადადინა... (ქართლ-ცხორ. გვერ. 24 მენიჳან.)

აზს წიგნთა სპარსთა. ცხოვრებისას, არა ყოველი მართალი, არამედ უმრავლესი ტუფილი. წარუძარბათ ესე მე შიომისა, მასკელით ქაისოხრო. ზურა წინაღუდგენს მას სომეხნი და ქართველნი, რამეთუ დიდი იყო ძალი მისი. მოკლულ ყოველი სომხითი და ქართლი, მოტყუენა ყოველივე და იავრ ყენა ყოველნი ცისენი და ქალაქნი, და დაუტყენა ერისთავნი და აღაშენა ადარბადაგანს სასლი საღოცავი სჯულისა მათისა და წარვიდა.»

«და შემდგომად ამისსა, რადენთაჲსე წელნიწადთა, უცალო იქმნა ქაისოხრო და იწყო ბძოლა თურქთა, ეკუბდა სისლსა მამისა მათისასა. და იპოეს ყაში სომეხთა და ქართველთა, განუდგეს სპარსთა, და მოხრეს ერისთავნი სპარსთანი და განთავისუფლდენ. მსვე ყაშისა მოვიდეს თურქნი; ოტუბულნი მისვე ქაისოხროსაგან. გამოკლეს ზღვა გურგანხისი, აღმოეყეს მტკვარსა და მოვიდეს მცხეთას, სასლი ოცდა რვა 1), და ესრასნეს მამა-სასლისსა მცხეთისასა, აღუთქვეს შეწვენა სპარსთა ზედა. ხოლო მამასასლისმან მცხეთელმან აუწვა ქართველთა. ინებეს დამეგობრება მათი თურქთა, რამეთუ აქენდა-შიში სპარსთა, და შემწეობისათვის დამეგობრეს თურქნი იგი გამოხსულნი და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა.»

«ხოლო უმრავლესი მათგანი მოვიდეს და ზოკს ადგილი ერთი, მცხეთას დასავლეთ გერძო, კლდეთა შორის გამოკვეთილი, ღრმა და მოთხროკეს ადგილი იგი მცხეთელის მამა-სასლისისაგან. მისცა და აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ, და ეწოდა მას ადგილსა სარკინე და იყოს ესე თურქნი და ქართველნი ნების-მყოფელ ერთმან-

1) ვასილტის სტუკით 2800 სასლი; რუმიანცოვის დედნის სიტყვით კი 28000 (*Hist. de la Géor. t. I, p. 30, note 2*). «სომხური ქრონიკა», რომელიც, როგორც ჰეკელი მოკისხეუბთ, მე XIII საუკ. ადრე ქართლის-ცხოვრებიდან არის გამოწერილი, ქართლის-ცხოვრების თანხმად ოც და რვა სასლს უჩვენებს. *Chronique Arménienne. Addit. 2, 'Eclairc. à 'Hist. de la Géor. p. 6)*.

ერთისა, შოკლადეს მონკლასა სპარსთასა, და ამგვრებდეს ცისეთა და ქალქთა. მას უახსა შინა სდაც ვინ მოვიდის, ოტუბულნი სპარსეთით, გინა ასურეთით, გინა ხაზარეთით, ყოველივე დაიპეგობრიან ქართულთა, შემწეობისთვის სპარსთა ზედა 1).»

ამ ცნობების წყაროდ ქართლის-ცხოვრებას, როგორც თვით ის იტყვის, სპარსეთის ისტორია ჭქონია. ჩვენის აზრით, აქედამ ბირ-და-პირ უსრებელია ქართლის-ცხოვრებას და არა მეორე—მქამს სელიდამ, რადგანაც სპარსეთი თავისი გავლენით საქართველათს ძველადვე დიდ დასდოვებულ იყოფილა. — ეს წყარო უნდა იყოს თვით ის წყარო, საილამც მე XI სუჟ. ქრისტეს შემდეგ სპარსეთის შოკლად ფერდუხის შეუდგენია ევროპელთ მეცნიერთაგან დიდად ცნობილი ისტორია სპარსეთის მეფეების ასუ შაჰ-ნამე. შაჰ-ნამე და ქართლის-ცხოვრება იმდენად თანახმად გვიამბობენ ძველ სპარსულს გარდამოცემას, რომ შეუძლებელია არ იფიქროთ, ორივეს ერთი და იგივე წყარო უნდა ჭქონდესო. ეს უჯანსაღელი არის, თუ შემცდარნი არა ვართ, მაღკლამის სპარსეთის ისტორიაში მოხსენებული წიგნი დაბსტანი. დაბსტანს თავისი მხრით სულამძღვანელად ჭქონია ძველი ფეჰლეჟური მსუსკრიბტი და ზეპირსიტყვიერნი გარდამოცემანი, რომელნიც დაბსტანის ავტორისთვის უამბნით ზორასატრსეწინა-საწმუნოების აღმსარებელთ. ამ წიგნის ისტორიულს ნაწილს შედგენენ ზღაპრული ამბები წარღვნის წინა-დროებზე. დაბსტანი სპარსეთის ისტორიას ინდოეთის ისტორიას უკავშირებს 2). აქ სპარსეთის გამოსატყუებაში ღირს-შესანიშნავია როგორათაც ზნეობა და ყოფა-ცხოვრება სპარსეთისა, ავრეთვე იმისი სარწმუნოებრივი წეს-დებულება ზორასატრის წინადა, რომელიც ერთი და იგივე თურქე იყო სპარსეთში და ინდოეთ-

1) ქართლ-ცხოვ. გვერ. 23—25.

2) *Histoire de la Perse par Malcolm*, 1821, t. I, p. 267—269.

ში: როგორათაც იქ, აგრეთვე აქ სორცის სმარება სსკმელად აკრძალული ყოფილა 1). შორხასტრი ცხოვრობდა მე IV საუკ. ქრისტეს წინ. იმისგან შემოღებული აღსარება იყო ტრცხლის თაყვანის-ცემა. საფუძველი ამ თაყვანისცემისა შორხასტრმა თავად პირველად დასდო იმ მსარეში, რომელსაც შემდეგ დაერქვა ადერბიდაგანი (ფეჭლეურს ენაზე *azerbajan* ღნიშნავს ტრცხლის სახლს). აქ იყო განთქმული ტრცხლის თაყვანის-საცემი ტაძარი, რომელიც სასკლ აწოდებოდა ადერგოშასხად. აქედამ მეფის ჭისტასხის შემწეობით იმან ის მთელს სპარსეთში გავრცელა 2). აქედამვე ცდილობდნენ შემდეგ იმის გავრცელებას თვით სომხეთში და საქართველოში. — დაბისტანი ასფანდელის კაცობრიობის წინა პარად ჭხადის მღ-საზს, ეგვიპტელების ბელს, ინდოელების ბაღისს, რომელიც თავისის სასჯლობით პირველის ციკლის აღსასრულს გადაწინა და იმისს მრავალ-რიცხვს შთამომავლობას ადგილსადგომად მღვიმეები და კლდეები ჭქონია 3). ბევრით ქრისტეს შობაზე ადრე, სასკლდობრ დაბისტანის თქმით 800 წელს, სსკების აზრით კი 1890 წელს, სპარსეთის მეფეს ჯემშიდს, ფეშ-დადიანის დინასტიიდან, პირველად დაუწვია სპარსეთის მცხოვრებნი ოთს კლასსად: პირველი ყოფილა კეთილამორწუნენი და სარწმუნოების მამოყლნი, რომელთაც ვლად სდებიათ სჯულის მცნება ერისადმი; მეორე ყოფილა მწერალნი: ესენი თურმე შადგენდნენ სასკლმწიფო აქტებს და სასკლმწიფო აჩგარბს; მესამე კლასსად უჩეკებენ მსედრებს, მეოთხედ-ვაჭრებს და მუშა-საღსს 4). ეს წესი ჯემშიდს, გამოუტანია ინდოეთიადმ 5).

1) *Ibid.* p. 273, 282—283.

2) *Hist. de la Perse*, I, p. 83—85. — *Mém. sur l'Arm.* II. p. 192 n. A.

3) *Ibid.* p. 12—14.

4) *Ibid.* p. 24—25.

5) *Ibid.* p. 270.

ქართლის-ცხოვრებაში მოხსენიებული აფრიდონ გმირი, რომელსაც «გველთ უფალი ბეგრასფ ჯაჭვით შეუერთებს და მთაზე დაუბამს», სპარსეთის გარდამოცემის თქმით, ყოფილა ჯემშიდის შვილი ფერიდუნის ხოლო გველთ უფალი ყოფილა ზოჭაქა, სასულ-წოდებული აგრეთვე აჯექაქად, ესე იგი დრაკონად 1), ჩვენებურად ვთქვათ გველა-შაზად. იმ მთას, სადაც ეს შემკვალული თურმე იყო, სასულ-სდებენ იალბუსად, რომელიც თექვანის მასლობლად მდებარებდა 2). ჩვენი იარედი არის იარეჯი, ქე ფერიდუნისა 3). ქვეაზოს ლკეთში მგრძნობილისგან დაბრძანებული ქაი-ვაოსია ანუ ქიასკარი, რომელიც ცხოვრობდა მე VIII საუკუნე. ქრისტეს მოხვლამდე. ქაასკარ გაელაშქრა მასენდარანის დასამონაგებლად, მაგრამ სეიფიდ-დეუსა, მასენდარანის მეფის მოწვევით, ის დაბრძანდა და ქიასკარი დატყვევებული ტინეში დატუსვლებულ იქმნა 4). — სპარსეთის ისტორიის წარველ-დაწყებაში დევებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. ინდოეთის ბრძანები იმათ ღმერთებად აღვიარებდნენ, სპარსებო — უკეთურ სულებად. ასინი ცხოვრობდენ ვლდეებში და მთებში 5), სასულდობრ კათას მთებში, რომელნიც დედა-მიწის შეაადგილს შადგენდნენ და სანიდამაც ქვეყანას მოაოხრებდნენ 6).

ჩვენ აქ ამისთვის მივატყვეთ ყურადღებას სპარსეთის უძველეს ისტორიას, რომ იმასი გაელენა, როგორც შემოთავ ვთქვით, არა თუ ქართლის-ცხოვრებაზე, თვით ქართველების სასიათზე და ყოფა-ცხოვრებაზე ცხადი საქმეა. ჩვენ განსაკუთრებით ეს საგანი გვსურს კარგად დავსაგნათ. ამისთვის აქ ვიდევ ორიოდ შემიხვევს ვუჩვენებთ. — ძომატებული სასულები, რომელთაც დაბისტანში და შაჰ-ნამეში ისტორ-

1) *Mém. sur l' Arm. II, p. 190. n. A u B.*

2) *Hist. de la Perse, I, p. 35.*

3) *Mém. sur l' Arm. II p. 190 n. c.*

4) *Ibid. p. 191 n. A. — Hist. de la Perse, I, p. 48 - 50.*

5) *Исм. Арм. Мouv. Xop. 256, 322.*

6) *Hist. de la Perse, I, p. 115.*

რეული მნიშვნელობა აქვთ, ესე იგი: როსტომ, მანუჩარ, ქაი ხახორა, შურაბ, ბარამ და სხ. თვით საქართველოს ძველადვე, მითვისებული აქვს და აქამომდე ინმარება უწარსინებულთ ზირთ შვილებინ აღზდა უცხო ოჯახებში ჩვეულებად იყო სპარსეთში 1). ეს ჩვეულება სომხეთში და საქართველოშიაც ყოფილა მიღებული 2). საქართველოს სამოქალაქო წეს-დგება სპარსეთიდანვე არის შემოტანილი. ქართული კასატები, როგორც იმათ სტრახონი აგვიწერს, ჯერშიდის კასტებს მოგაკავონებენ. სპასპეტი, რომელიც ფარსაოზ მეფის დრომად მერვე ერისთავად ირინესობდა, რომელიც წინაშე მეფისა მთავრობდა და ყოველთა ურისთავთა ზედა განაგებდა 3), იყო სპარსული სიპაჰბედი, გამოთარგმანებით ჩვენს ენასე მსედარბ-წინამძღომელი 4). ერთგვარი სისხლის სამართალი, რომელსაც ძველად სპარსეთში გზავულობთ, ყოფილხ ცეცხლით თავის განმართლება 5). ეს სამართალი ჩვენც მიგვიღია. ის აქ ჩვენ წინაპართ ისე შეუიგისებიათ, რომ ვასტანგ მეფეს თავისს სჯულში ჩაერთავს. ის აქ სასელ-იწოდება «მდულართანუ შანთით თავის გამართლებად» 6). ძველი საქართველოს სარწმუნოებაც სპარსულას სარწმუნოების ბეჭდით ყოფილა აღბეჭდილი: ქართლის-ცხოვრების აჰმეზი არის სპარსების ორბუსდი, «წარმომადგენელი მზისა ანუ ცეცხლასა». ჩვენ გვეოლია სპარსულნი მოგვნი, «მზის მსახურნი» 7). ზოგიერთს ჩვენს ამო-რწმუნებას აქამომდე არ დაუკარგავს თავისი სპარსული თვისება. ჩვენის დაბალი ხალხის წარმოდგე-

1) *Ibid.* p. 55.2) *Hcm. Arm. comp.* 294. *Hist. de la Géor.* I, p. 48, 84, 295.3) *Ibid.* p. 41, 42.4) *Mém. sur l' Arm.* I, p. 298. n. 1.5) *Hist. de la Perse*, I, p. 56.

6) ვასტანგის სჯული, § 37.

7) საქართ. თავი V.

ნაში დიად გავრცელებულია დეკა, რომელიც ამ სასულითოვე ისხენიება. აქ მრავალს ზღაპარს სავსეა და აქვს ელვარე თვალებიანი, მრავალ-თავებიანი გველეშაპი, დახატანის ზოგჯერ ანუ დრაკონი მთასე დაბმული. ეს ზღაპარი ჩვენს მოგვარებს სომხების ლეგენდას არტავაზსე, ქართველების თქმულებას ამირანსე. სპარსულს ზღაპრულს გარდამოცემასში არიმან ანუ არიმან იყო მაცდური სული, წინაღობი რამესდისა და ძეგვი დეგებისა. ეს ლეგენდა ჩვენში იგივეა ასლას, რაც სომხეთში უოფილა ძე V საუკ. აი რას ამბობს მოსე ქორეელი არტავაზსე: «მოხუცი დედა-განი იტყვიან, ვითომც არტავაზი რგინის ჭაჭვით შეკრული, შეისწავლული იყოს კლდის ქვაში. ვითომც ორი ძაღლი შეუსუსტებლად წლდინდინ ჭაჭვს და არტავაზი ცდილობდეს ქვაშიდამ გამოვიდეს და შეეყანას ბოლო მოუღოს, ვითომც მკვლელების კვერის დარტყმით ჭაჭვა ისევ მაგრდებოდეს. ამისთვისაც თვით ჩვენ დროს — განაკრძობს ქორეელი — მრავალი მკვდელი ამ ლეგენდის მისეგვით სცემენ კვერს სამკვდლოში, რომ არტავაზას ჭაჭვი შემავრდეს 1)». ეს ლეგენდა რსებსაც აქვთ. რსების წარმოდგენით ერთი მძიმედ შეჭაჭველი ზეობილი შემკვლელი იალბუნის კლდეში და იმის გულმეცელს სჭამს ავი ძე 2) რაკორათაც სომხური ლეგენდა არტავაზსე და ქართველების ამირანსე, აგრეთვე რსების ზღაპარი წარმოგვიდგენს ძველს ელინების თქმულებას პრომეტეოსსე, რომელიც ელლანების განოსტულობით უოფილა ძე იაფეტისა და მამა დიკვალისას და რომელიც იუპიტერს კავკასიის ქედზე მიუღრისმავს და აქ იმისთვის მიუხედა ძე იმის გულმეცელის ამოსეგვილად. ასე დაუსწავს იუპიტერს პრომეტეოსს ამისთვის, რომ იმან მისთვის ჩამოტაცნია ზევიური ცეცხლი და ადამიანებისთვის მიუცია.

1) *История Арм.* стр. 130.

2) *Дубровина история войны и владычества русских на Кавказе, 1871. СПб. т. I. стр. 326—329.*

ქართლის-ცხოვრებაში ღირს — შესანიშნავი შემთხვევა; სხვათა შორის, არის თურქების კოლხიის მოხვლა საქართველოში. ამ შემთხვევასთან აქვს დამოკიდებულება ისტორიას ორბელიანთ. გვარისას. ქართლის-ცხოვრება ორბელიანთ დასაწყისზე არის ამბობს. ამას გვიამბობს მხოლოდ სტიუარსე ორბელიანი მე XIII საუკუნეში. იმისი თქმულება ორბელიანთ მოხვლაზე საქართველოში თითქმის ეთასხმება ქართლის-ცხოვრებისაგან გარდამოცემულს ფაქტს თურქების მოხვლაზე. ორბელიანთ გვარი დიდი გამოჩენილი გვარი ყოფილა ჩვენს ისტორიაში. ის მრავალს განსცდელს გადასრინია. ის არის აწ უძველესი ვეფხვთა ქართულს გვარებსე: იმას უცხოვრია აქ თითქმის ორი-ათასი წელი; დიდი სნიერობა იმს ასლაც ეტყობა. ამისთვის ჩვენ იმასე ცნობა უნდა შევდგათ. — სტიუარსე ორბელიანი ყოფილა საქართველოს ათბაგის ტარსიჯის შვილი, დაბადებულა სომხურს სარწმუნოებაში მე XIII საუკ. სასეკარს და მიცვლილა სიუნიის მიტროპოლიტად 1304 წელს. ის ყოფილა განვითარებული სომხეთის მწერალი. იმას უსახელებია თავი სსვა და სსვა გვარის მწერლობით, განსაკუთრებით სომხეთის პრინციპის სიუნიის ისტორიით, რომელიც უ. ბროსსეს გამოუცია 1864—1866 წელს, ორ წიგნად, ფრანციტულს ენაზე. ეს წიგნი შეიცავს ვრცლად და სუნიდისისად შედგეხილს დაწერას სიუნიის ანუ სომხეთის გეოგრაფიისას, ისტორიისას და სარწმუნოებისას. ჩვენის უურადლებს ღირსია ამ წიგნში უფრო ორბელიანთ სასლის ისტორია, რომელშიაც სტიუარსე წარმოგვიდგენს ადგილ-ადგილ შემოკლებით, ადგილ-ადგილ დაწერილებით საქართველოს ცხოვრებას. ეს ნაწილი შეიცავს: სიუნიის ისტორიაში 63 გვერდს 1) და სენ-მარტენის *Memoires*-ში სომხურის ტექსტით, 118 გვერდს 2).

1) *Histoire de la Siounie*, t. I, p. 209 - 272.

2) *Mém. sur. l' Arm.* II, p: 57 - 175.

აქ სტეფანე ჯერ მოკლედ გვიამბობს, ქართლის-ცხოვრების თანახმად, საქართველოს პირველ-დასაწყისს და შემდეგ სპარსეთის მეფის ქაიხოსროს დროდამ იწუბს ორბელანთ შთამომავლობას.

ამ დროს, იტყვის სტეფანე, ასტუდა დიდი განსეთქალება და საშიშარი ბრძოლა ჯენასტანეს (ჩინეთის). სამეფოში, რომელიც მდებარებს სალანდრების ქვეყნის აღმოსავლეთად, სასარებისა და ჭუნების საზღვრად, ვიდრე ეპაუსის შთამდე. როდესაც მეფე ჯენბაკურ მიცვლილა, სამეფო სასლის შვილებს დაუწყევით ურთი-ერთი ბრძოლა; ვინც იმათში ძლეულს, ისინი ღატოლად ქმნილან. იმათი წინამძღოელი ყოფილა ასოვანი და გამბედავი, ძლიერი და ნიჭიერი. ყმაწვილი კაცი. იმას შემოუკრებია თავისი მეგობრები და თავისი სპა, მოუტყვიან სამეფო საუნჯე, შემდეგ ყველანი ამხედრებულან და მსწრაფლ განუგლიათ მრავალი ქვეყანა. იმათ ისეთი ზარ-დამცემი შესედულობა ჰქონიათ, რომ ვერავის გაუბედნია წინააღმდეგობა. იმათ გაუგლიათ დარდალის-კარი, ისინი უშიშრად შესულან ქართლში და გამოსცხადებინ მცხეთის ტანუტარს (ჩვენებურად მამა-სასლისს). ტანუტარი ყოფილა დიდ მწუსარებაში ქვეყნის შევიწროების გამო სპარსთაგან. იმათ ასე უთქვამთ ტანუტარისთვის და უმთავრების ჭირებისთვის: ჩვენ ვართ ჩინეთის სამეფო სასლის შვილი; ჩვენ მოჰქოცრდით ჩვენს ძმებს და აქ ამ განძრავით მოკვდით, რომ თქვენის ქვეყნის სიმაგრეს შეგეფადნეთ. ჩვენ მოგვისიდა აქ თქვენ სანუგეშოდ თქვენის უბედურების შემრალბელმა თქვენმა ღმერთებმა. ჩვენ გვსურს ან დავრჩეთ სპარსეთის სამოფლობელოში, ან მივმართოთ საბუჭმენტის მეფეს. თუ თქვენთვის საამო იქონს, მოგვიღეთ და დაგვინიშნეთ თავის-საფარი ადგილი. ჩვენ დაკვივდებით აქ და თქვენ თქვენის ტირანებისაგან განგათავისუფლებთ. თუ არა ჩვენ შეკუდგებით ჩვენს გზას და ღმერთი ჩვენი იქნება შემწე ჩვენი. მნახელნი იმათის გამბედაობისა და ასოვანებისა უმთავრესნი ტანუტარნი დიდ კმა-ყოფილნი დარჩნენ; იმათ ასალ-მოსულთ შემზადეს ვრცელი ნადამი და დიდი ზატოვი მიაგეს. ნიშნად განსაკუ-

თრებიტის მეტობობისა იმით დაუმევიდრეს სადგომად და სატკეადა ქართლსისაგან აშენებული შეუვალი ცინე ორბეთი; მისცეს აგრეთვე საშვილი-შვილად მრავალი თემი, დიდ-ძალი სოფლები და სიმბგრეები. დაკმაყოფილებულნი ისინი დაქმარნენ ორბეთში და ამ ცინის გამო შემდეგ სასელ-იწოდენ ორბუქებად, ესე იგი ორბეთთ-ცისებად, რად-განაც ქართველებში ჩვეულებად არის, რომ აქ კეთილ-შობილნი. ირქ-მევენ იმ ადგილების სასელს, სადაც ისინი ცსოვრობენ... ეს გვარისა სლს იწოდება ორბულქად, ძველად კი იწოდებოდა ჟენეუქად, ესე იგი ჟენასტიქად ანუ ჩინელებად».

ვიდრე ეს ასე იყო, ორბულიანთ შემოიერთეს ქართველთ სას-ლი, შემოიკრიბეს სპები, დაესხნენ საქართველოს შემჭირველთ, იოტნეს იგინი, განდევნეს მტერნი მათნი, სპარსნი, და აღადგინეს აქ მშვიდობა. შემდეგში იმათ მიენიჭათ საქართველოს სასლის სპარსიელობა და მხედართ უფროსობა. ზირველმა საქართველოს მეფემ ფარნაოზმა უფ-რო დააჯილდოვა იგინი, ასე რომ მთელს მხარეში არავინ იყო იმათი ტოლი, გარდა მეფისა.

ყოველივე ეს ცნობა — განაგრძნობს სტეფანე — თუძცა ჩვენ კბო-ვეთ ქართულს მატანეში, მაგრამ არეკით, ამისთვის რომ გიორგი მეფის შურის-ძიებას აღმოჰსოცა ორბულიანთ გვარი საქართველოში და მოს-პო თვით იმათი სასელი ისტორიაში, ყველს წერილებში და კვლესი-ებში ჩვენ მოვიძიეთ და მსოფლად ეს მცირე-რამე მოვიპოვეთ. ჩვენ დავეკითხეთ მტოდნე პირთ, აქა-იქ გაბნეულს წერილებს, რომელნიც კი უბედურებას გადაურჩნენ და აგრეთვე გვარის გარდამოცემას. რად-განაც სინამდვილე ძველის თქმულებისა ორბულიანთ ნათესავის მხნე-ბაზე და იმათს დიდს მოღვაწეობაზე შესასებ მთელის საქართველოს სასლისა გარყვნილი ყოფილა ქართულს მატანეში, რომელსაც ქართ-ლის-ცსოვრებად უწოდებენ, ამისთვის ჩვენ უმჯველი ამბავი ვერა ვცა-ნით. ჩვენ ვწერთ როგორც ვფიქრობთ. ჩვენ აქ საქმის გარჯობება ისე

შამოგვაქვს, როგორც ამოგვეკითხავს სომხურს წერილებში და ომბელი-
ანთ გვარის ამოწვევტას ისე წარმოვადგინოთ, როგორც ნასამობის
მხიტარ ანელის უცხო ისტორიაში 1).»

სტეფანეს თქმულება აქ ჩვენ განგებ გამოვწერეთ სიტყვა —
სიტყვი: როგორათაც ეს გამოხაწერი, აგრეთვე ძიეული სიუნის ის-
ტორია ცხადად ჰმოწმობენ ამას წინად ჩვენგან წარმითქმულს აზრს
ქართლის-ცხოვრებაზე. ეს თქმულება ეკუთნის მე XIII საუკუნეს. რომ
სტეფანე ცხოვრობდა მე XIII საუკ., რომ ის არის ავტორი «სიუნის
ისტორიისა», რომ ამ ისტორიას შეუცვლელად მოუღწევია ჩვენამდე.
ამაზე უკვირ არც არავის ჰქონია, არც არავის აქვს... ჩვენს წელთაღ-
წერას, სტეფანეს სიტყვი, იმის დროსვე, მაშა-სადამე უწინაც, ქარ-
თლის-ცხოვრება ჰქმეკია. ქართლის-ცხოვრება გავრცელებულიც ყო-
ფილა: ამას გვიტყვიან როგორათაც სტეფანეს ნასამობის შედარე-
ზა ქართლის-ცხოვრების ნასამობთან, აგრეთვე სომხური ქრანიკა,
ანუ უკედ ვთქვათ, ქართული ისტორია, სომხურს ენაზე, რომლისავე
ერთი დედანი, გადაწერილი 1279—1311 წელს, აგადემიკს ბროსესს
უზოგინა ემბიანინის ბიბლიოთეკაში, უთარგმნია ფრანცისკულად და
მთლად ჩუერთავს თავისს წიგნში: *Additions et 'Eclaircissements*
à l'Histoire de la Géor. p. 1—61 2). ეს ქრანიკა თავიდან დაწოილი

1) *Hist. de la Siounie, I, p. 209—212. Mém. sur l'Arm., II, p. 57—65.* მხიტარი ცხოვრობდა მე XII საუკ. ამას დაწეროს თსზულება სომხეთზე, საქართველოზე და სპარსეთზე, რომელიც საუბედოდ დაკარგულა და მხოლოდ ზოგიერთს ამ თსზულებს ადგილს ჩვენამდე მოუღწევია მე XIV საუკ. მწერლის გარდახნის ისტორიაში. (*Hist. de la S. I, 212 n. 2. Mém. sur l'Arm. I, 201 n. 25.*)

2) *Voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847—1848. S.-Petersb. 1849. 3 rapp. p. 62.*

ვიდრე დავით-აღმაშენებელის სიკვდილამდე, რომლითაც ის თავდება, გამაწყრალია, თუმცა შემოკლებით, ქართლის-ცხოვრებინა დასმ. — სტეფანეს წიგნში მრავალი ფაქტია დიდი ძვირფასი: ის შინაურს ქართულს ცხოვრებასაც შეესება და ძამატკულს ფაქტებში თვით ქართლის-ცხოვრებას ეთანხმება. სტეფანეს მე — XII და — მე — XIII საუკუნის საქართველოს აღწერიდამ სხანს, რომ ქართველებს თავისი არსიკები ჭქონათ: ისინი იწოდებიან: სან სამეფო არსიკებად 1), სან სამდინო არსიკებად და დავთრებად, სადაც სსვა და სსვა გვარები და მონასტრები ჩაწერილნი ყოფილან 2). სხანს აგრეთვე, რომ იმ დროებში და ადრეც ყოფილა მეფეთაგან ბოძება სამსახურის ვილდოდ მამულებისა, ესე იგი დანსალბულის სოფლებისა და ციხეებისა კედო-პირთათვის საშვილი-შვილოდ 3), და მონასტრებისათვის 4), გუჯრებით და სიგელებით, რომელნიც მეფეების ბეჭდებით ყოფილან შემოწმებულნი 5). მამინაც ჭქონათ დიდებულთ, ანუ თავად-აზნაურთ 6) ციხე-სიმაგრეები 7) და გვარის სამარსი მონასტრები 8). მამინაც ჭყოლიათ თავადებს აზნაურები 9). მამინაც სასულიერო წოდება განთავსიუფლეს

1) *Hist. de la Sioun. I, 221 - 236. Mém. sur l'Arm. II, p. 95, 97, 157.*

2) *Hist. de la Sioun. I, p. 231, 238.*

3) *Ibid. p. 216, 228, 231, 238, 235. Mém. sur l'Arm. II, p. 111, 139, 147, 149.*

4) *Hist. de la Sioun. I, p. 237.*

5) *Mém. . . II, p. 79, 103, 107, 111, 137.*

6) *Hist. de la Sioun; I p. 214 et note.*

7) *Ibid p. 231*

8) *Ibid. p. 215, 233.*

9) *Mém. . . II p. 69.*

ბული ყოფილა სასასო სარკისგან 1). მშინაც თურქე იზომებოდა გარის ღირსება სასსლით, რომელიც ვრცლად არის მოსსენებული ვასტანგის სჯულში 2).

როგორათაც ჩვენ ვნახეთ, ორბელისების შთამომავლობა, სტეფანეს თქმით, ჩინეთიდან მომდინარებს. ეს აზრი მიღებული თურქე ყოფილა საქართველოში 3). თვით სენ-მარტენი ამ აზრს აზის: მას ამტკიცებს ის თავისს მშენიერს განხილვაში: *Dissertation sur l'origine de la famille des Orpeliens et des plusieurs autres colonies chinoises établies en Arménie et en Géorgie*, რომელიც იმას ჩაურთავს თავისს *Mémoires*-ში t. II, p. 15 — 55. ქართლის-ცხოვრება ორბელისთ შთამომავლობაზე, როგორც ეს კიდევ ვთქვით, არას ამბობს. ის მოისსენებს მსოფლოდ თურქების მოსვლას საქართველოში, სადაც იმათ ის ამკვიდრებს. სარკისეთში. ამ საგანზე აი რასა სწერს უ. ბროსე. ჩვენ იმისი აზრი უფრო საფუძვლიანად მიგვჩინას, ვიდრე სენ-მარტენის აზრი. «ორბელისები არიან მოსულნი იმ მხარეიდან, რომელსაც უწოდებენ სამსები ჯენსტანად, სპარსები ჩინად ანუ ჩინსტანად, არაბნი სინად, სირიელნი ცინესტანად, ევროპიელნი *Chine*-ად. აქ იგულისხმება ნამდვილი ჩინეთი კი არა, არამედ ერთი იმ მსარკეთაგანნი, რომელნიც დასავლეთად მდებარებენ, ესე იგი თურქისტანი, თურსისტანი და ტრანს-ოქსანი, ჩინეთის ქვეშე-ვრდომნი და ამისგამო ჩინეთად უწოდებულნი. სამსის მწერალნი, რომელთაც უფრო სუსტი ცნობა ჰქონათ, ვიდრე მუსულმანის მწერლებს, ზემოაზრის ისტორიაზე, ჯენის ანუ ჩინეთის სასელ-წოდებას ავრცლებენ თვით საზარეთამდე, რომელიც მდებარება მდინარე—ურალის სამხრეთად».

1) *Ibid.* . . p. 139.

2) *Hist. de la Sioun. I p. 231.*


3) *Mém. . II, p. 91. Hist. de la Sioun. I, p. 215.*

როდის მოსულან საქართველოში თურქის თავადნი, რო-
 მელნიც შემდეგ ორბელიანებად ანუ ჯამბაგურ-ორბელიანებად წო-
 დებულან, ამაზე სწორე ცნობას ვერც ერთს ისტორიაში ვერ
 ვპოვებთ. ეს-გია ნამდვილ გამოკვლეული, რომ მაძიებლები
 მოსულან სომხეთში მე III საუკუნის ნასეკარს ქრისტეს შემდეგ.
 ორბელიანებზე ქართულის წელთ-აღწერის თქმულება ისე ყრუდ
 არის მოხსენებული, რომ ეს შემთხვევა უნდა მომხდარიყო ჩვენის
 ერას პირველ საუკ. შორის და მე V ანუ მე VI საუკ. შორის
 ქრისტეს წინადა. არც რიცხვი სასლთა, არც რიცხვი გადმოსას-
 ლებულთა, არც იმათი გზა ჩვენ არ ვიცით. შეიძლება ვიფიქ-
 რეთ, რომ ორ-გვარი კვირაცია ყოფილა თურქებისა ანუ ჩინელე-
 ბისა საქართველოში: ერთი ჩრდილო-გზით, მეორე კასპიის
 ზღვით. ეს ამავე დაშთენილა მხოლოდ ზემირ-სიტყვიერს გა-
 რდამოცემაში. ისიც შესაძლებელია, რომ მე III საუკ., მამინ,
 როდესაც შინაურს აღრეულებას ჩინეთის თურქისტანისას განუ-
 დევნია მაძიებელია სპარსეთში და შემდეგ სომხეთში, ორბე-
 ლიანთ წინა-პარნი შემოსულან კასპიის ზღვით და მტკვრით ქარ-
 თველების ქვეყანაში. შემდეგ ორბელიანთ თითქმის მთელის გვა-
 რის ამოწვევტისა, 1177 წელს, თამარ დედოფლის მამის გიორგი
 მე III მეფობაში, ანუ ამ გვარის აღდგინების დროდამ, გიორგი-ლასანს მე-
 ფობაში, ორბელიანები იყოფებიან ორ შტოდ: საქართველოს ორბელიანე-
 ბად და სიუნიის ორბელიანებად. ამათში მხოლოდ ქართველთ ორბელიანე-
 ბი სასელ-იწოდებისა ჯამბაგურებისადა, ანუ უკეთ ვთქვათ, ჯენ—ბაკურიანე-
 ბად, რომლისაც პირველი მარცვალი შეადგენს სომხურის ჩინეთის სასელს.
 მეოე ნაწილი კი ამ სიტყვისა, რომლის გამოკვლევეც მე ვერ შევიძლ
 ასეა განმარტული პოთიესგან იმისს უცხო წიგნში: *Livre de*
Marco-Polo, p. 452: იმისის სიტყვით, ფაგური ტიტულაი სამს-
 რეთ—ჩინეთის მეფისა; ეს სიტყვა წარმომდგარა ბაგანიდამ (*ბორ*

რუსული); რომელიც სასკრიტულს ენაზე ჰინიშნავს უზენაესს არსებას ... ფაგურიდამ შობილას სიტყვა ბაკური და რუსული *Богородица* სხვა არა არის რა, როგორც თარგმანი ჩინურის «ცის-შვილია». ეს განმარტება, ჩემის აზრით, განაგრძნობს ბროსსე, დიად საფუძვლიანია. — აქსიონის თარგმანებზე ეს უნდა ვთქვათ, რომ ასლად იმათ უწოდებენ ფაფლანებებად, ფაფლანი-შვილებად; ეს სიტყვა წარმომდგარა თურქელის ფაფლანიდან კი არა (ფაფლანი—გეფსვია), არამედ სომხურის კაფანიდან, რომელიც ზრის ძველი სასკელი ბასკის სამეფოსია, 1).

დოქტორი ბაქრაძე

187 წ. აპრილის 30.



1) *Hist. de la Siounie*, p. 181.